

ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს Koton Textile Limited

2022 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს Koton Textile Limited-ის დამფუძნებელს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს Koton Textile Limited-ის (კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობის ანგარიშგება

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზს, სამომავლო გეგმებს და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით. მმართველობითი ანგარიშგება ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობითი ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

შპს გრანტ თორნტონ

ს/ნ: 200136600

იურიდიული მისამართი:

საქართველო, თბილისი, ისნის

რაიონი, ქეთევან წამებულის

გამზირი, № 54

ტ.: + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

I/N: 200136600

Legal address:

Georgia, Tbilisi, Isani district,

Ketevan Tsamebuli avenue, № 54

T.: + 995 322 604 406

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობითი ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას.

თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებულები ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. ჩვენ არ გავაჩნია საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით.

ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოების მიხედვით, ყველა მატერიალური ასპექტის გათვალისწინებით, ვაცხადებთ:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას; და
- მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს კანონით დადგენილ ყველა ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს) პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. მენეჯმენტი აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტი აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ კომპანიას არ აქვს სხვა რეალისტური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზე, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით

გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.

- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

გვანცა შურდია

გარიგების პარტნიორი

რეგისტრირებული აუდიტორი (SARAS-A-402361)

19 სექტემბერი 2023



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათას ქართულ ლარში	მენიშვნა	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	2,654	3,915
აქტივების გამოყენების უფლება	5	7,320	10,856
არამატერიალური აქტივები		184	205
		10,158	14,976
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	5,922	4,711
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	618	3,827
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	8	7,539	1,096
		14,079	9,634
სულ აქტივები		24,237	24,610
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი		1,689	1,689
დაგროვილი ზარალი		(2)	(5,988)
		1,687	(4,299)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	9	-	614
საიჯარო ვალდებულებები	10	6,618	12,972
ანარიცხები	11	303	361
		6,921	13,947
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	2,405	768
სესხები	9	8,336	8,898
საიჯარო ვალდებულებები	10	4,769	5,115
ანარიცხები	11	119	181
		15,629	14,962
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		24,237	24,610

ფინანსური ანგარიშგება გამოსაგებად დამტკიცებულია 2023 წლის 19 სექტემბერს:

მერთ გუნუმ სონმუნსოი
დირექტორი

ირმა ვაჩაძე
მთავარი ბუღალტერი



13.09.2023



ფინანსური ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 10-32 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით მენიშვნებთან ერთად.

ნაშ

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათას ქართულ ლარში	შენიშვნა	2022 წელი	2021 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	33,734	32,746
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(17,049)	(19,644)
საერთო მოგება		16,685	13,102
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები	15	(9,052)	(8,816)
ადმინისტრაციული ხარჯები	16	(1,233)	(1,526)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		6,400	2,760
არასაოპერაციო შემოსავლები		681	176
ფინანსური ხარჯი	17	(2,706)	(2,479)
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	18	1,611	1,039
ზარალი დაბეგვრამდე		5,986	1,496
მოგების გადასახადის ხარჯი	19	-	-
წლის მოგება		5,986	1,496
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		5,986	1,496

ფინანსური ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 10-32 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ათას ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი	1,689	(7,484)	(5,795)
წლის მოგება	-	1,496	1,496
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	1,496	1,496
2021 წლის 31 დეკემბერი	1,689	(5,988)	(4,299)
წლის მოგება	-	5,986	5,986
წლის მთლიანი სრული მოგება	-	5,986	5,986
2022 წლის 31 დეკემბერი	1,689	(2)	1,687

ფინანსური ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 10-32 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ათას ქართულ ლარში	შენიშვნა	2022 წელი	2021 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფული		45,274	39,191
მომწოდებლებზე გადახდილი ფული		(22,545)	(23,786)
გადახდილი გადასახადები		(5,171)	(4,935)
გადახდილი ხელფასი		(1,723)	(1,622)
სხვა გადახდები		(184)	(251)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		15,651	8,597
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(157)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(157)	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის აღება	25	7,929	624
სესხის პროცენტის გადახდა	25	(1,209)	(1,173)
ფინანსური იჯარის პროცენტის გადახდა	25	(1,417)	(1,135)
სესხებისა და ფინანსური იჯარის ვალდებულებების დაფარვა	25	(13,720)	(6,138)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფული		(8,417)	(7,822)
ფულის ხელზე და საბანკო ანგარიშებზე (შემცირება)/ზრდა		7,077	775
უცხოური ვალუტის კურსის ეფექტი		(634)	(113)
ფულის ხელზე და საბანკო ანგარიშებზე წლის დასაწყისში	8	1,096	434
ფულის ხელზე და საბანკო ანგარიშებზე წლის ბოლოს	8	7,539	1,096

ფინანსური ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 10-32 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს Koton Textile Limited დაარსდა 2013 წლის 1 აპრილს და წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია იმართება სს “Koton Magazacilik Textil Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi”-ის მიერ, რომელიც კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა სს “Koton Magazacilik Textil Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi”, რომელიც ოპერირებს თურქეთში.

კომპანია სს Koton Magazacilik Textil Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi-ის მფლობელების სტრუქტურა შემდეგნაირია:

	%
Nemo Apanel BV (თურქეთი)	50.00
Yilmaz YILMAZ (თურქეთი)	25.00
Sukriye Gulden YILMAZ (თურქეთი)	25.00
	100.00

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სხვადასხვა ტიპის ტანსაცმლით ვაჭრობა.

კომპანიის იურიდიული მისამართია: პეკინის ქუჩა 4, თბილისი, საქართველო

2022 წლის განმავლობაში კომპანიის თანამშრომლების საშუალო რაოდენობა იყო 155 (2021: 152 თანამშრომელი).

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ოპერირებს 8 მაღაზიით, რომელთაგანაც 6 მდებარეობს თბილისში, ერთი ბათუმში და ერთი ქუთაისში (2021 კომპანიას ქონდა 9 მაღაზია - 7 თბილისში, ერთი ბათუმში და ერთი ქუთაისში).

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს (ბასს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

2.2 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდისა და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც ასახულია დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების ღირებულებით.

2.3 საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტა არის ქართული ლარი (შემდგომში “ლარი”), როგორც ვალუტა, რომელიც ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში (თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული). ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილია ათას ლარში, დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე.

2.4 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებსა და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობები გამოყენებული, ან სადაც ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული დაშვებები და საადრიცხო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-20.1 შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების მიღება

კომპანიამ მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა ("IASB") და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს ("IFRIC") მიერ გაცემული ყველა ახალი და გადახდილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლებიც შესაბამისობაშია მის ფუნქციონირებასთან და ძალაშია ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდისთვის დაწყებული 2022 წლის 1 იანვრიდან.

ცვლილებების არსი და გავლენა განხილულია ქვემოთ:

ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ძალაშია წლიური პერიოდისთვის დაწყებული 2022 წლის 1 იანვრიდან

ახალი სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც განხილულია ქვემოთ, პირველად შემოღებულ იქნა 2022 წელს. მათ არ აქვთ მატერიალური ზეგავლენა კომპანიის ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

სტანდარტი	სტანდარტის ან ინტერპრეტაციის აღწერა
ფასს 3	კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ცვლილებები ფასს 3-ში)
ბასს 16	შემოსავლები მიზნობრივ გამოყენებამდე (ცვლილებები ბასს 16-ში)
ბასს 37	წამგებიანია კონტრაქტი – კონტრაქტის შესრულების ფასი (ცვლილებები ბასს 37-ში)
ფასს 1, ფასს 9, ბასს 41, ფასს 16	ფასს 2018-2021 ყოველწლიური გაუმჯობესება (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ბასს 41, ფასს 16)

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის გამოცემული იყო რიგი სტანდარტები, ცვლილებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა და არც კომპანიას გამოუყენებია ვადაზე ადრე.

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი სტანდარტის და ცვლილების დანერგვა კომპანიის საადრიცხო პოლიტიკაში მოხდება იმ პირველივე პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება ახალი სტანდარტისა თუ ცვლილების ძალაში შესვლის გამომცხადებელი თარიღიდან.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ქვემოთ მოცემული სტანდარტებითა და განახლებები მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ იქონიებს.

სტანდარტი სტანდარტის სათაური ან ინტერპრეტაცია		ძალაშია საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის ან შემდგომ
ფასს 17	სადაზღვევო კონტრაქტები	1 იანვარი 2023
ფასს 12	გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ტრანზაქციით წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებზე (ცვლილებები ბასს 12-ში)	1 იანვარი 2023

ფასს 17	ფასს 17-ისა და ფასს 9-ის პირველადი გამოყენება – შედარებითი ინფორმაცია (ცვლილებები ფასს 17-ში)	1 იანვარი 2023
ბასს 8	საადრიცხვო შეფასების განმარტება (ცვლილება ბასს 1-ში)	1 იანვარი 2023
ბასს 1	საადრიცხვო პოლიტიკის განმარტება (ცვლილება ბასს 1-სა და პრაქტიკული ანგარიში 2-ში)	1 იანვარი 2023
ბასს 1	ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად (ცვლილება ბასს 1-ში)	1 იანვარი 2024
ბასს 16	საიჯარო ვალდებულებები გაყიდვა უკუიჯარის პირობით (ცვლილება ფასს 16-ში)	1 იანვარი 2024
ბასს 1	გრძელვადიანი ვალდებულებები შეზღუდვებით/კოვენანტებით (ცვლილება ბასს 1-ში)	1 იანვარი 2024

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 უცხოური ვალუტა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება შესაბამის საოპერაციო ვალუტაში ოპერაციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, ფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.7020 ლარს და ევროსთვის 2.8844 ლარს (2021 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 3.0976 ლარი და ერთი ევრო 3.5040 ლარი).

ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული საკურსო სხვაობა აღრიცხულია კომპანიის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

დანახარჯები, რომლებიც უკავშირდება იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობას, აღიარებულია ძირითადი საშუალების სახით, ის წარმოდგენილია მათგან განცალკევებით და ცვეთადია აქტივის სასარგებლო სიცოცხლის განმავლობაში ან იჯარის ხელშეკრულების ვადის განმავლობაში, რომელიც უფრო მოკლეა.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას შემცირებადი ნაშთის მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის ღირებულება იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის

გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

იჯარით აღებული ძირითადი საშუალებები	- 8-10 წელი (იჯარის ვადასა და საიჯარო აქტივის გაუმჯობესების საციფოცხო ვადას შორის უმცირესი)
ავეჯი და ინვენტარი	- 5-7 წელი
ელექტრონული აღჭურვილობა	- 5-6 წელი
ავტომობილები	- 7 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	- 7 წელი

3.3 გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

აქტივებს, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მათი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აისახება, იმ თანხით რა თანხითაც, აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი, აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

3.4 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაცია ირიცხება ანგარიშგების მოგება-ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების განმავლობაში. ლიცენზიებზე და პროგრამულ უზრუნველყოფაზე სასიცოცხლო მომსახურების ვადაა 10 წელი.

3.5 იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანიას იჯარით აღებული აქვს მაღაზიები თბილისის, ბათუმის და ქუთაისის სავაჭრო ცენტრებში. საიჯარო კონტრაქტები, როგორც წესი, იდება 3-დან 13 წლამდე ვადით. კომპანია არ დებს გაყიდვისა და უკუიჯარის ხელშეკრულებებს. ყველა იჯარის მოლაპარაკება ხდება ინდივიდუალურ საფუძველზე და შეიცავს სხვადასხვა წესებსა და პირობებს.

კომპანია ყველა კონტრაქტის დადებისას დასაწყისშივე აფასებს არის თუ არა კონტრაქტი იჯარის კონტრაქტი ან შეიცავს თუ არა იგი იჯარის კომპონენტებს. იჯარა გადმოსცემს უფლებას გამოიყენოს და მოიპოვოს იდენტიფიცირებული აქტივის არსებითად ყველა ეკონომიკური სარგებელი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ანაზღაურების სანაცვლოდ.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის საჭირო შეფასებით ხარჯებს და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით).

კომპანია, აქტივების გამოყენების უფლებებისთვის, იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს იჯარის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს არსებული თარიღისთვის გადაუხდელი საიჯარო თანხების მიმდინარე ღირებულებით, დისკონტირებულს საპროცენტო მაჩვენებლით, რომელიც ნაგულისხმებია რომ ეს კურსი ადვილად შეიძლება შეცვალოს ან აღებულია კომპანიის დამატებითი სესხის განაკვეთი (საშუალო შეწონილი 9.35%). ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი დადგინდა საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, გრძელვადიან, უზრუნველყოფის გარეშე სესხებზე აღებული იყო საშუალო საპროცენტო განაკვეთები ქართულ ლარში. მითითებული განაკვეთი შეადარეს კომპანიის საშუალო საპროცენტო განაკვეთს სესხებზე.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმომოხილ გადახდებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტით. საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს ხელახალი შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება ნულია.

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღრიცხოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანია, როგორც მოიჯარე, გამოყოფს იჯარის ორ კლასს - საოპერაციო ან ფინანსურ იჯარებს.

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუკი იგი გადასცემს არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს განსაზღვრული აქტივის მფლობელს, სხვა შემთხვევაში იგი კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა.

3.6 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის აღვივებზე მიტანასთან და სათანადო მდგომარეობამდე მიყვანასთან.

3.7 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება ამოიწურება, ან, როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრუდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია).

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ხარჯი
- რეალური ღირებულება მოგება- ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე კრიტერიუმით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი გამოყენებული ფინანსური აქტივის მართვისთვის
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯით, ფინანსური შემოსავლით ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტით, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯების სახით. კომპანიის ფინანსური აქტივები დაყოფილი კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში 21.2.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL):

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდისას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი“ (ECL). ფასს 9-ის მოთხოვნების ფარგლებში შემავალი ინსტრუმენტები მოიცავს სესხებს და სხვა ვალის ტიპის ფინანსურ აქტივებს, რომლებიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI), სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რომლებიც აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ აქტივებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (ფაზა1), და
- ფინანსურ აქტივებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (ფაზა 2).

ფაზა 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები

კომპანია იყენებს გამარტივებული მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულებების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. ანგარიშის დროს, კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანგარიშის დროს.

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ისინი ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს და დაჯგუფებულები არიან გადაცილებული ვალის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და ფინანსურ საიჯარო ვალდებულებებს. კომპანიის ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია 21.2 შენიშვნაში.

სასესხო ვალდებულებები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯების გამოკლებით. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია დამფუძნებლებისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ხოლო სხვაობა თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვებს, მშენებლობას, ან განსაკუთრებული აქტივის შექმნას. ასეთი ხარჯები პირდაპირ აქტივის თვითღირებულებაზე კაპიტალიზირდება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით.

3.8 ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე

ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, ფულს საბანკო ანგარიშებზე და ფულს გზაში.

3.9 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. ცვლილება კომპანიის წესდებაში (მოიცავს ცვლილებას საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და ა.შ) ხდება მხოლოდ კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილების შემდგომ. ავტორიზირებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უშუალოდ დამფუძნებლების კონტრიბუცია იყო კომპანიაში.

გაუნაწილებელი მოგება მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგებებს და ზარალებს.

3.10 ანარიცხები

ანარიცხი აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენის შედეგად, და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გადინება. თუ ეფექტი არსებითია, ანარიცხების თანხა განისაზღვრება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებით, დისკონტირების განაკვეთი კი წარმოადგენს დაბეგვამდე არსებულ განაკვეთს, რომელშიც გათვალისწინებულია ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებები და მოცემული ვალდებულებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური რისკები.

3.11 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

საქართველოში 2017 წლის 1 იანვრიდან მოქმედი მოდელის (ესტონური მოდელი) მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო - 15% დაიბეგრება დივიდენდ განაწილებული მოგება. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და

ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი კონკრეტული ოპერაციები, რომელიც დაკავშირებულია მოგების განაწილებასთან (საჩუქრები, განაცემები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

დივიდენდის გაცემასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მოხდა მისი გამოცხადება, განურჩევლად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომელზედაც ნაწილდება დივიდენდები. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

2016 წლამდე დაგროვილ გაუნაწილებელ მოგებაზე, 2017 წელს ან წინა პერიოდებში გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდი, იბეგრება მოგების გადასახადით წინა წლების მოდელის მიხედვით.

აღნიშნული მოდელის გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და მათ საგადასახადო ბაზას შორის, შესაბამისად ბასს 12-ის მოხედვით, არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება 2017 წლის 1 იანვრისთვის

3.12 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (ა) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (ბ) წლიურ ფასიან შვებულებებს და ბიულეტენის ანაზღაურებებს;

3.13 შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება საქონლის რეალიზაციიდან.

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს ხუთ-საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

ზოგადად, შემოსავალი აღიარებულია ან დროის დასაწყისში ან ბოლოს, როდესაც (ან როგორც) კომპანია აკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებებს, დაპირებული საქონლის ან მომსახურების თავის მომხმარებლებზე გადაცემით.

კომპანია აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს, ანაზღაურებაზე, რომელიც მიღებული იქნა შეუსრულებელ ვალდებულებებთან დაკავშირებით და ამ თანხებს ასახავს, როგორც სხვა ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ანალოგიურად, თუ კომპანია ასრულებს ვალდებულებას ანაზღაურების მიღებამდე, კომპანია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს ან სახელშეკრულებო აქტივს ან მოთხოვნას, იმისდა მიხედვით, არის თუ არა რაიმე სხვა საჭირო, გარდა დროის გასვლისა, ანაზღაურებამდე.

შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან

კომპანია შემოსავლებს იღებს პროდუქციის რეალიზაციით. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ფულადი ნაკადების ან შემოსავლებთან დაკავშირებული დარიცხული მოთხოვნების სამართლიანი ღირებულებით, რაშიც გათვალისწინებულია კომპანიის მიერ გაცემული ფასდათმობები. კომპანიის მთლიანი შემოსავალი აღიარდება პროდუქციის რეალიზაციისთანავე.

4 ძირითადი საშუალებები

ათას ქართულ ლარში

	იჯარით აღებული ქონების კუთილმოწყ ობა	ავეჯი და აღჭურვილ ობა	ელექტრო მოწყობილ ობები	ავტომობ ილები	სხვა	სულ
თვითღირებულება						
31 დეკემბერი 2020	8,886	1,479	1,263	43	1,657	13,328
მატება	-	8	33	-	21	62
გასვლა	-	-	(2)	-	(3)	(5)
31 დეკემბერი 2021	8,886	1,487	1,294	43	1,675	13,385
მატება	14	1	53	71	95	234
გასვლა	(207)	(36)	(44)	(43)	(121)	(451)
31 დეკემბერი 2022	8,693	1,452	1,303	71	1,649	13,168
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი 2020	4,995	1,072	661	26	1,240	7,994
ცვეთის ხარჯი	952	175	178	7.00	168	1,480
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	(2)	-	(2)	(4)
31 დეკემბერი 2021	5,947	1,247	837	33	1,406	9,470
ცვეთის ხარჯი	855	115	161	7	112	1,250
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	(92)	(19)	(30)	(37)	(28)	(206)
31 დეკემბერი 2022	6,710	1,343	968	3	1,490	10,514
ნარჩენი ღირებულება						
31 დეკემბერი 2021	2,939	240	457	10	269	3,915
31 დეკემბერი 2022	1,983	109	335	68	159	2,654

კომპანიის ძირითადი საშუალებები არ არის გამოყენებული რაიმე ვალდებულებების უზრუნველყოფად.

ცვეთის ხარჯი განაწილებულია შემდეგნაირად:

ათას ქართულ ლარში

	2022 წელი	
	გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები	ადმინისტრაციული ხარჯები
საანგარიშო წლის ცვეთის ხარჯი	1,163	13

ათას ქართულ ლარში

	2021 წელი	
	გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები	ადმინისტრაციული ხარჯები
საანგარიშო წლის ცვეთის ხარჯი	1,413	67

5 აქტივის გამოყენების უფლება

ათას ქართულ ლარში

	მაღაზიები
თვითღირებულება	
31 დეკემბერი 2020	32,119
31 დეკემბერი 2021	32,119
გასვლა	(850)
31 დეკემბერი 2022	31,269
დაგროვილი ცვეთა	
31 დეკემბერი 2020	17,473
ცვეთის ხარჯი	3,790
31 დეკემბერი 2021	21,263
ცვეთის ხარჯი	3,447
ცვეთის ელიმინირება	(761)
31 დეკემბერი 2022	23,949
საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2021	10,856
31 დეკემბერი 2022	7,320

კომპანიას აქტივების გამოყენების უფლება შეძენილი აქვს სავაჭრო მაღაზიების ფართებზე, რომლებიც განლაგებულია თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში.

აქტივების გამოყენების ცვეთის ხარჯი აღიარებულია მარკეტინგისა და გაყიდვების ხარჯებში (შენიშვნა 4).

6 მარაგები

ათას ქართულ ლარში

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მარაგები ადგილმდებარეობის მიხედვით:		
ცენტრალური საწყობი	440	1,598
ბათუმი	781	395
თბილისი მოლი	823	394
პეკინი	973	391
ისტ ფოინთი	899	419
ქარვასლა	-	423
ქუთაისი	671	361
მერანი	452	216
გლდანი მოლი	253	201
სითი მოლი	438	266
სხვა	192	47
	5,922	4,711

კომპანიის მარაგები არ არის გამოყენებული რაიმე ვალდებულებების უზრუნველყოფად.

მარაგების თვითღირებულება აღიარებული როგორც ხარჯი პერიოდის განმავლობაში არის 17,049 ათასი ლარი (2021: 19,644 ათასი ლარი).

7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათას ქართულ ლარში

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	251	170
სხვა მოთხოვნები	4	3
	<u>255</u>	<u>173</u>
არაფინანსური აქტივები		
წინასწარი გადახდები მომწოდებლებზე	363	3,654
	<u>363</u>	<u>3,654</u>
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	<u>618</u>	<u>3,827</u>

სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

შენიშვნა 22(ბ)-ში წარდგენილია საკრედიტო რისკებისა და შესაძლო დანაკარგებით გამოწვეული ზარალის ანალიზი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 22(ა)-ში.

8 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშზე

ათას ქართულ ლარში

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ფული ხელზე	108	111
ფული საბანკო ანგარიშებზე	7,431	985
	<u>7,539</u>	<u>1,096</u>

9 სესხები

ათას ქართულ ლარში

	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	8,336	8,898	-	614
	<u>8,336</u>	<u>8,898</u>	<u>-</u>	<u>614</u>

ყველა სესხი მიღებულია სს “იმ ბანკისგან”, 2016 წელს გაფორმებული გენერალური საკრედიტო ხაზის ფარგლებში.

საბანკო სესხების დაფარვის ვადაა 2023 წელი. საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი არის 14.77% (2021: 12.61%).

სესხები გამოყენებულია საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად და უზრუნველყოფილია დედა კომპანიის გარანტიით.

ყველა სესხი დენომინირებულია ქართულ ლარში.

10 იჯარა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათას ქართულ ლარში	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე	4,769	5,115
გრძელვადიანი	6,618	12,972
	11,387	18,087

კომპანიას იჯარით აღებული აქვს მალაზიებისთვის განკუთვნილი ფართები სავაჭრო ცენტრებში. ყველა იჯარა, გარდა მოკლევადიანი ან დაბალი ღირებულების მქონე იჯარისა, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება. ცვალებადი საიჯარო გადასახადები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან პროცენტზე (როგორიცაა საიჯარო გადასახადები, დამოკიდებული კომპანიის გაყიდვების პროცენტულ მაჩვენებელზე), არ მონაწილეობს სალიზინგო ვალდებულებების და შესაბამისი აქტივების საწყის აღიარებაში. აქტივების გამოყენების უფლება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარგენილია განცალკევებულად (შენიშვნა 5).

კომპანიას არ აქვს საიჯარო კონტრაქტები გამოსყიდვის უფლებით, ან ინდექსზე მიბმული გადასახადებით და არც შეწყვეტის ოფციებიანი იჯარები. ქვემოთ მოცემული ცხრილი აღწერს კომპანიის საიჯარო აქტივობების ბუნებას, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული აქტივების გამოყენების უფლების ტიპების მიხედვით:

აქტივის გამოყენების უფლება	იჯარით აღებული აქტივების რაოდენობა	დარჩენილი ვადის დიაპაზონი	საშუალო დარჩენილი იჯარის ვადა	იჯარების რაოდენობა ვადის გაგრძელების უფლებით
სავაჭრო მალაზიები	8	12-57 თვე	30 თვე	8

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათას ქართულ ლარში	მინიმალური საიჯარო გადასახადები	
	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ერთი წლამდე		
გადახდები	5,622	6,620
ფინანსური ხარჯი	(853)	(1,505)
	4,769	5,115
1-5 წლამდე		
გადახდები	7,506	14,206
ფინანსური ხარჯი	(888)	(1,968)
	6,618	12,238
5 წლის შემდეგ		
გადახდები	-	763
ფინანსური ხარჯი	-	(29)
	-	734
წმინდა მიმდინარე ღირებულება	11,387	18,087

საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის აღიარებული ვალდებულებად

კომპანიამ გადაწყვიტა არ აღიაროს საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი იჯარისთვის (12 თვიანი ან ნაკლები საიჯარო ვადის მქონე იჯარებისთვის) და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივების იჯარებისთვის. ამგვარ საიჯარო გადახდები ხარჯებად აღიარდება წრფივი მეთოდით. ამასთანავე, ზოგიერთი ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ აღიარდება როგორც საიჯარო ვალდებულება, გაწვევისთანავე აღიარდება ხარჯად.

ხარჯები, დაკავშირებული ისეთ საიჯარო გადახდებთან, რომლებიც არ ჩაირთვება საიჯარო ვალდებულებებში, შემდეგია:

ათას ქართულ ლარში

	2022 წელი	2021 წელი
მოკლევადიანი იჯარა	24	36
ცვლადი საიჯარო გადასახადები	2,059	1,633
	2,083	1,669

კომპანიის შემოსავლების მიხედვით დაანგარიშებული ცვლადი საიჯარო გადასახადები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საიჯარო ვალდებულების სახით, რადგან ის დამოკიდებულია აქტივის გამოყენებიდან მიღებულ შემოსავალზე

11 სხვა ვალდებულებებზე გაკეთებული ანარიცხები და გაწეული დანახარჯები

აღდგენის დანახარჯების ანარიცხი - ზოგიერთი საიჯარო ხელშეკრულების მიხედვით, საიჯარო პერიოდის ბოლოს, კომპანია ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუბრუნოს აქტივი/სივრცე მეიჯარეს თავისუფალ და კარგ/მისაღებ პირობებში, ყოველგვარი წინააღმდეგობის/დაბრკოლების გარეშე. კომპანია მხედველობაში იღებს და ქმნის ანარიცხს იმ სარემონტო სამუშაოების დანახარჯებისთვის, რომლის გაწევაც მას სავარაუდოდ მოუწევს იჯარის ვადის ბოლოს ძირითადი საშუალების გასარემონტებლად. ანარიცხის მოცულობის გაანგარიშება ხდება მენეჯმენტის მიერ, რომელსაც საფუძვლად უდევს გამოთვლა, რომლის მიხედვითაც სავაჭრო მაღაზიის რემონტისთვის, მის საწყის მდგომარეობამდე მისაყვანად, ერთ კვადრატულ მეტრ ფართობზე, დაახლოებით 20 დოლარია საჭირო. ანარიცხის ამორტიზაციისთვის გამოიყენება 14.5%-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთი.

იჯარით აღებული აქტივების გაუმჯობესების საწყისი შეფასება მოიცავს აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას.

12 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათას ქართულ ლარში

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	2,067	530
საგადასახადო ვალდებულებები	330	182
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	7	55
საპენსიო ფონდი	1	1
	2,405	768

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების ეფექტის ზეგავლენაზე მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 22(ა).

13 შემოსავალი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შემოსავლები კომპანიის თითოეული სავაჭრო ობიექტის მიხედვით:

ათას ქართულ ლარში	2022 წელი	2021 წელი
ისტ ფონიტი	5,864	6,013
პეკინი	6,303	5,709
ბათუმი	5,756	5,005
თბილისი მოლი	4,737	4,793
ქუთაისი	3,876	3,911
სითი მოლი	2,609	2,578
მერანი	2,405	2,165
ქარვასლა	802	1,465
გლდანი მოლი	1,356	1,107
სხვა	26	-
	<u>33,734</u>	<u>32,746</u>

14 რეალიზებული პროდუქციის ღირებულება

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია რეალიზებული პროდუქციის ღირებულება კომპანიის თითოეული სავაჭრო ობიექტის მიხედვით:

ათას ქართულ ლარში	2022 წელი	2021 წელი
ისტ ფონიტი	2,765	3,415
პეკინი	2,974	3,346
ბათუმი	2,712	2,869
თბილისი მოლი	2,233	2,656
ქუთაისი	2,008	2,205
სითი მოლი	1,276	1,471
მერანი	1,180	1,269
ქარვასლა	709	1,403
გლდანი მოლი	1,180	1,010
სხვა	12	-
	<u>17,049</u>	<u>19,644</u>

15 გაყიდვებისა და მარკეტინგის ხარჯები

ათას ქართულ ლარში	2022 წელი	2021 წელი
ძირითადი საშუალებების ცვეთა	1,163	1,414
აქტივის გამოყენების უფლების ამორტიზაცია	3,447	3,790
ცვლადი იჯარის ხარჯი	2,059	1,633
თანამშრომელთა სარგებელი	1,767	1,333
მარკეტინგის ხარჯი	340	400
საკრედიტო ბარათების საკომისიოს ხარჯი	276	246
	<u>9,052</u>	<u>8,816</u>

16 ადმინისტრაციული ხარჯები

ათას ქართულ ლარში	2022 წელი	2021 წელი
თანამშრომელთა სარგებელი	404	704
მომსახურების ხარჯები	331	409
საგადასახადო ხარჯები	144	157
ძირითადი საშუალებების ცვეთა	13	11
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	26	28
მოკლევადიანი იჯარის ხარჯი	24	36
ბანკის საკომისიო	41	51
ოფისის ხარჯები	29	61
სხვა	221	69
	1,233	1,526

17 ფინანსური ხარჯები

ათას ქართულ ლარში	2022 წელი	2021 წელი
საპროცენტო ხარჯი სესხებზე	(1,226)	(1,273)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ხელშეკრულებებზე	(1,416)	(2,067)
კოვიდ 19-თან დაკავშირებული იჯარის შეღავათი	-	932
სხვა	(64)	(71)
	(2,706)	(2,479)

18 ზარალი საკურსო სხვაობიდან

ათას ქართულ ლარში	2022 წელი	2021 წელი
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	(634)	(111)
ფინანსური ვალდებულებები ამორტიზირებული ღირებულებით	2,245	1,150
	1,611	1,039

19 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ხარჯად აღიარდება, მხოლოდ როდესაც ხდება მოგების განაწილება (დივდენდის გაცემა), ან როდესაც ისეთი ხარჯი გაიწევა, რაც შეიძლება მოგების განაწილებას გაუთვალყვეს. რადგან მიმდინარე წელს მოგების განაწილება არ ყოფილა, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში არ ჩანს მოგების გადასახადის ხარჯი. გადავადებული გადასახადიც არ არის რელევანტური საქართველოს საგადასახადო გარემოში, როგორც ეს აღწერილია სააღრიცხვო პოლიტიკის აღწერის ნაწილში (შენიშვნა 3.11).

20 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

20.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების საციცოცხლო ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგება არსებითად განსხვავებული იქნება.

ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულება

ხელმძღვანელობას შეფასებული აქვს საკუთარი ძირითადი საშუალებების და აქტივის გამოყენების უფლების ანაზღაურებადი ღირებულება. გაუფასურების ზარალი არ არის აღიარებული, რადგან აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება აღემატება მათ საბალანსო ღირებულებას. ეს შეფასებები ემყარება მთელ რიგ ვარაუდებს, რომლებიც დაკავშირებულია ფულადი ნაკადების გამომუშავებასთან, კომპანიის კაპიტალის საშუალო შეწონილ ღირებულებასთან და სხვა. თუ რეალური შედეგები განსხვავდება ამ ვარაუდებისაგან, ფინანსური ანგარიშგება შეიძლება არსებითად განსხვავებული იყოს.

მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებებს, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ყველაზე საიმედო მტკიცებულებების გათვალისწინებით. ამ მარაგების მომავალ რეალიზაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სამომავლო ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა, ან ბაზრის სხვა ცვლილებებმა, რამაც შეიძლება შეამციროს მომავალი სარეალიზაციო ფასები.

21 ფინანსური ინსტრუმენტები**21.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა**

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და საფუძველი, რომლის მიხედვითაც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, თითოეული კლასის ფინანსური აქტივის, ვალდებულების და კაპიტალის ინსტრუმენტის შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.7-ში.

21.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები

ათას ქართულ ლარში	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზირებული ღირებულება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	255	173
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	7,539	1,096
სულ ფინანსური აქტივები	7,794	1,269

ფინანსური ვალდებულებები

ათას ქართულ ლარში	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზირებული ღირებულება		
სესხები	8,336	9,512
ფინანსური იჯარის ვალდებულება	11,387	18,087
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,074	585
სულ ფინანსური ვალდებულებები	21,797	28,184

22 ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ძირითადი რისკების ტიპებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისათვის და არც ოფციონებს გასცემს. კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

a) საბაზრო რისკი

კომპანია არ არის დაცული საბაზრო რისკისაგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებისგან, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი.

კომპანია ოპერაციების ძირითად ნაწილს ახორციელებს ქართულ ლარში. უცხოური ვალუტის რისკი ძირითადად უკავშირდება საზღვარგარეთ შესყიდვებს, რომლებიც ძირითადად აშშ დოლარშია ნომინირებული. კომპანიას ასევე აქვს იჯარის ვალდებულებები აშშ დოლარში.

ქვედა ცხრილში მოცემულია კომპანიის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც წარმოშობს უცხოური ვალუტის რისკს. თანხები წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლო დღისთვის დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

2022 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური აქტივები

ფული და ფულის ექვივალენტები

აშშ დოლარი

ევრო

6,281

-

6,281

-

ფინანსური ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

1,781

92

ფინანსური იჯარის ვალდებულება

11,387

-

13,168

92

წმინდა პოზიცია

(6,887)

(92)

2021 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური აქტივები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

აშშ დოლარი

463

463

ფინანსური ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

52

ფინანსური იჯარის ვალდებულება

18,087

18,139

წმინდა პოზიცია

(17,676)

ცხრილი ასახავს დოლარის მიმართ ლარის 15%-იანი (2021: 15%) კლება/მატების გავლენას კომპანიაზე ათას ქართულ ლარში. აღნიშნული 15% (2021: 15%) არის მმართველობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება ლარის, დოლარის და ევროს გაცვლით კურსებში.

მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 15%-იანი (2021: 15%) განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლარსა და ევროსთან მიმართებაში 15%-ით (2021: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ათას ქართულ ლარში

	აშშ დოლარის გავლენა	
	2022	2021
მოგება-ზარალი:		
ლარის გამყარება	1,033	2,651
ლარის დევალვაცია	(1,033)	(2,651)

ათას ქართულ ლარში

	ევროს გავლენა	
	2022	2021
მოგება-ზარალი:		
ლარის გამყარება	14	-
ლარის დევალვაცია	(14)	-

b) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანიის საკრედიტო რისკი დანავშირებულია მის ფინანსურ აქტივებთან, მათ შორის საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებთან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან.

საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი უმნიშვნელოა, რადგან ფული განთავსებულია მხოლოდ მსხვილ, საიმედო ბანკებში.

კომპანია შემოსავალს იღებს საცალო გაყიდვებიდან, სადაც ფულის მიღება ხდება პროდუქციის გაყიდვისთანავე. შესაბამისად, კომპანია არ ახორციელებს მომხმარებელთა გადახდისუნარიანობის მონიტორინგს.

კომპანიას არ აქვს რაიმე უზრუნველყოფები დებიტორულ მოთხოვნებზე. კომპანია არ ფლობს გირაოს ან უზრუნველყოფებს, არც სხვა ფინანსურ აქტივებზე (მაგ. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები ბანკებში).

სავაჭრო მოთხოვნები

მთლიანი სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისთვის, კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს, ვინაიდან ეს მუხლები არ შეიცავენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისთვის, სავაჭრო მოთხოვნები შეფასდა საერთო მიდგომით, ვინაიდან მათ აქვთ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები. მათი დაჯგუფება ხდება ხანდაზმულობის მიხედვით.

სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება, როცა აღარ არსებობს მათი დაბრუნების გონივრული მოლოდინი.

c) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს გონივრულ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება

31 დეკემბერი 2022

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	ფინანსური იჯარის ვალდებულება	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური (%)		15%	7%	
6 თვეზე ნაკლები	2,074	8,336	2,856	13,266
6 თვიდან 1 წლამდე	-	-	2,766	2,766
1-5 წლამდე	-	-	7,506	7,506
	2,074	8,336	13,128	23,538

31 დეკემბერი 2021

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	ფინანსური იჯარის ვალდებულება	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური (%)		13%	8%	
6 თვეზე ნაკლები	586	7,881	3,310	11,777
6 თვიდან 1 წლამდე	-	1,261	3,310	4,571
1-5 წლამდე	-	631	14,206	14,837
5 წელზე მეტი	-	-	763	763
	586	9,773	21,589	31,948

კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს და წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში.

23 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და აქციონერები უზრუნველყოს ადექვატური უკუგებით.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება გამოშვებული კაპიტალისგან, რომელიც ეკუთვნის მშობელი კომპანიის მფლობელებს და აკუმულირებულ მოგებას, და მოზიდული სახსრებისაგან, რომელიც მოიცავს სესხებს, რომლებსაც იხილავთ შენიშვნა 9-ში.

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. ამ ანალიზისას გაითვალისწინება კომპანიის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის კორექტირებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს ძირითად აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის კორექტირების მიზნით კომპანიამ შეიძლება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა ან გაყიდოს აქტივები სესხების დასაფარად.

თანხები, რომლებსაც კომპანია კაპიტალში აღრიცხავს წლის ბოლოსთვის შეჯამებულია შემდეგნაირად:

ათას ქართულ ლარში

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
მთლიანი კაპიტალი	1,687	(4,299)

მინუს: ნაღდი ფული და ფული ბანკში	(7,539)	(1,096)
კაპიტალი	(5,852)	(5,395)
მთლიანი კაპიტალი	1,687	(4,299)
სესხები	(8,336)	(9,512)
სრული ფინანსირება	(6,649)	(13,811)
კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან	0,88	0.39

24 გაუთვალისწინებელი გარემოებები

24.1 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლადობებით, რომლებიც შესაძლოა განსხვავებულად იქნას ინტერპრეტირებული საგადასახადო ორგანოების მხრიდან. თუმცა, კომპანიის მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მათი მიდგომები და საგადასახადო ანგარიშგება სრულად შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს და რაიმე არსებითი საგადასახადო რისკი კომპანიას არ აქვს.

24.2 ბიზნეს გარემო

საქართველო აგრძელებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველოს არ გააჩნია განვითარებული ბიზნეს და მარეგულირებელი ინფრასტრუქტურა, რომელიც ზოგადად არსებობს უფრო მსხვილ თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაში. გარდა ამისა, ეკონომიკური პირობები ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე აქტივობის მოცულობას, რაც შესაძლოა არ ასახავდეს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებს. შემდგომი ეკონომიკური განვითარების მთავარი დაბრკოლება არის ეკონომიკური და ინსტიტუციური განვითარების დაბალი დონე, ცენტრალიზებული ეკონომიკური ბაზა, რეგიონული არასტაბილურობა და საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისი.

25 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

ცვლილებები კომპანიის ფინანსურ ვალდებულებებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათას ქართულ ლარში	გრძელვადი ნი სესხები	მოკლევადი ნი სესხები	ფინანსური იჯარის ვალდებულება	სულ
31 დეკემბერი 2020	2,911	7,446	23,765	34,122
ფულადი ოპერაციები				
შემოსვლა	-	624	-	624
დაფარვა	-	(1,569)	(4,569)	(6,138)
პროცენტის გადახდა	-	(1,173)	(1,135)	(2,308)
არაფულადი ოპერაციები				
პროცენტის დარიცხვა	-	1,273	1,135	2,408
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	-	-	(1,109)	(1,109)
რეკლასიფიკაცია	(2,297)	2,297	-	-
31 დეკემბერი 2021	614	8,898	18,087	27,599
ათას ქართულ ლარში	გრძელვადი ნი სესხები	მოკლევადი ნი სესხები	ფინანსური იჯარის ვალდებულება	სულ
31 დეკემბერი 2021	614	8,898	18,087	27,599

ათას ქართულ ლარში	გრძელვადიანი სესხები	მოკლევადიანი სესხები	ფინანსური იჯარის ვალდებულება	სულ
ფულადი ოპერაციები				
შემოსვლა	-	7,929	-	7,929
დაფარვა	-	(9,122)	(4,598)	(13,720)
პროცენტის გადახდა	-	(1,209)	(1,417)	(2,626)
არაფულადი ოპერაციები				
ჩამოწერა	-	-	(205)	(205)
პროცენტის დარიცხვა	-	1,226	1,417	2,643
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	-	-	(1,897)	(1,897)
რეკლასიფიკაცია	(614)	614	-	-
31 დეკემბერი 2022	-	8,336	11,387	19,723

26 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს დედა კომპანია, კომპანიის მენეჯმენტი და სხვა დაკავშირებული მხარეები.

26.1 მაკონტროლებელი ურთიერთობები

კომპანია კონტროლდება სს “Koton Magazacilik Textil Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi” -ის მიერ, რომელიც წარმოადგენს კომპანიის 100%-ის მფლობელს. აღნიშნული კომპანია ოპერირებს თურქეთში და მისი ფინანსური ანგარიშგება არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი. კომპანიის მფლობელების სტრუქტურა წარმოდგენილია შენიშვნა 1-ში

26.2 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

წლის განმავლობაში კომპანიას ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:

ათას ქართულ ლარში

ოპერაციები	2022 წელი	2021 წელი
დედა კომპანია		
საქონლის შეძენა	18,106	17,978
ათას ქართულ ლარში		
ნაშთები	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
დედა კომპანია		
სავაჭრო ვალდებულებები	(1,725)	-
სავაჭრო მოთხოვნები	-	3,310

26.3 ოპერაციები მენეჯმენტთან და ახლო ოჯახის წევრებთან

მენეჯმენტმა მიიღო შემდეგი ანაზღაურება წლის განმავლობაში, რომელიც ჩართულია ხელფასებსა და თანამშრომელთა სარგებელში

ათას ქართულ ლარში	2022 წელი	2021 წელი
ხელფასები და ბონუსები	113	103

27 შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო თარიღის შემდგომ არ ყოფილა რაიმე მოვლენა ან ახალი გარემოება, რომელიც მოითხოვდა ამ ფინანსურ ანგარიშგებაში ციფრების შეცვლას ან დამატებით ინფორმაციის გამჟღავნებას

შპს KOTON TEXTILE LIMITED -ის
მმართველობითი ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

1.	მოკლე მიმოხილვა	1
2.	კომპანიის დამფუძნებლები და მმართველი პირები	2
3.	საკუთარი აქციები (საწესდებო კაპიტალი)	2
4.	განვითარების გეგმა და სამომავლო პერსპექტივები	2
5.	წარმოებული კვლევები და მისი განვითარება	3
6.	რისკების მიმოხილვა.....	3
7.	ფინანსური მაჩვენებლები	4

1. მოკლე მიმოხილვა

მზს KOTON TEXTILE LIMITED დაფუძნდა 2013 წლის 1 აპრილს. კომპანიის ერთპიროვნული დამფუძნებელია KOTON MAGAZACILIK TEKSTIL SANAYI VE TICARET ANONIM SIRKETI, რომელიც წარმოადგენს თურქულ კომპანიას, რომელიც დაარსდა 1988 წელს, თურქეთში და რომლის ძირითადი საქმიანობაცაა ტექსტილით ვაჭრობა. „KOTON MAGAZACILIK TEKSTIL SANAYI VE TICARET ANONIM SIRKETI“-ს მაღაზიათა ქსელი აქვს მთელ თურქეთში. თურქეთის გარდა კოტონის პროდუქცია იყიდება ევროპაში, აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში.

კომპანიის სამმართველო გადაწყვეტილებები ძირითადად მიიღება სათაო ოფისში, თურქეთში. თუმცა, გარკვეულ გადაწყვეტილებებზე უფლებამოსილებები დელეგირებულია რეგიონალურ მენეჯერზე.

2022 წელს კომპანიაში საშუალოდ დასაქმებული იყო 155 ადამიანი. ადმინისტრაცია მოიცავს 6 თანამშრომელს:

- რეგიონალური მენეჯერი
- გაყიდვებისა და ოპერაციების სპეციალისტი
- ადამიანური რესურსების მენეჯერი
- ვიზუალ მერჩენდაიზერი
- მთავარი ბუღალტერი
- უფროსი ბუღალტერი

კომპანიის ფილიალები

KOTON-ის ბრენდი პოპულარობით სარგებლოს საქართველოში. წარმოდგენილია 8 ფილიალით, მათ შორის Outlet ტიპის მაღაზიით. კომპანიას აქვს ორი მაღაზია რეგიონში: ბათუმსა და ქუთაისში. ხოლო, 6 მაღაზია თბილისში. ფილიალები ფუნქციონირებენ შემდეგ მისამართებზე:

1. **თბილისი**, რუსთაველის N42 - სავაჭრო ცენტრი „მერანი“, **2013 წელი**.
2. **თბილისი**, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 16 კმ - თბილისი მოლი, **2014 წელი**.
3. **თბილისი**, პეკინის 4 - ქუჩის მაღაზია, **2014 წელი**.
4. **თბილისი**, გლდანი, ხიზანიშვილის ქუჩა - სავაჭრო ცენტრი გლდანი მოლი, **2014 წელი**,
5. **თბილისი**, ალ. თვალჭრელიძის N2 - ისთ ფოინთი, **2015 წელი**.
6. **ქუთაისი**, თამარ მეფის გამზირი N14 - ქუთაისი მოლი, **2015 წელი**.
7. **თბილისი**, ხიზაბავრას ქუჩა N1 - გლდანი სითი მოლი, **2017 წელი**.
8. **ბათუმი**, გორგილაძის N9 - ქუჩის მაღაზია, **2017 წელი**.

2. კომპანიის დამფუძნებლები და მმართველი პირები

კომპანია იმართება სს “Koton Magazacilik Textil Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi”-ის მიერ, რომელიც კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა სს “Koton Magazacilik Textil Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi”, რომელიც ოპერირებს თურქეთში.

კომპანია სს Koton Magazacilik Textil Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi-ის მფლობელების სტრუქტურა შემდეგნაირია:	%
Nemo Apanel BV (თურქეთი)	50.00
Yilmaz YILMAZ (თურქეთი)	25.00
Sukriye Gulden YILMAZ (თურქეთი)	25.00
	100.00

ბოლო ორი წლის განმავლობაში კომპანიის სადამფუძნებლო სტრუქტურა არ შეცვლილა.

3. საკუთარი აქციები (საწესდებო კაპიტალი)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 1,689,204 ლარს, ხოლო დაგროვილი ზარალი - 1,971.00 ლარს. არც 2022 წლის განმავლობაში და არც საანგარიშგებო წლის დასრულების თარიღიდან ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე არ მომხდარა დივიდენდების გაცემა და ასევე, აღგილი არ ჰქონია რაიმე ცვლილებას კომპანიის კაპიტალის სტრუქტურაში.

4. განვითარების გეგმა და სამომავლო პერსპექტივები

კომპანიის პოპულარობას განსაზღვრავს გამორჩეული დიზაინი, მრავალფეროვანი არჩევანი და ხელმისაწვდომი ფასები. კომპანიას მუდმივად აქვს კომუნიკაცია მომხმარებლებთან სხვადასხვა არხის გამოყენებით (Facebook, TV, სარეკლამო ბილბორდი) და აწვდით მათ სიახლეებს ფასდაკლებებისა და სხვადასხვა სიახლეების შესახებ.

კომპანიის ოფიციალური ვებგვერდი: <https://www.koton.com/en/>,

ფეისბუქი: https://www.facebook.com/KotonGlobal/?fref=ts&brand_redir=33709448234

კომპანიის საქმიანობა სრულად შესაბამისობაშია არამარტო შრომითი კოდექსით დადგენილი წესებთან, არამედ ქვეყანაში მოქმედ სხვა რეგულაციასთან.

ბიზნეს გარემო

როგორც ზემოთაც აღინიშნა, დარგში კონკურენცია მუდმივად იზრდება. ბაზარზე აქტიურად ჩნდებიან ახალი ბრენდები, იხსნება ახალი მოლოები და სავაჭრო ცენტრები. ყველა კომპანია ცდილობს ფასდაკლებების შეთავაზებით მოიზიდონ მომხმარებლები. მუდმივი ფასდაკლებები კი მარჯაზე და შესაბამისად მოგებაზე უარყოფითად მოქმედებს. თუმცა ფასდაკლებების შეთავაზების გარეშე შესაძლოა კომპანიამ თავისი მომხმარებელი დაკარგოს. აღსანიშნავია, რომ კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების მოხსნამ და საზღვრების გახსნამ ქვეყანაში გაზარდა ტურისტების შემოდილება, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა ბიზნესზე. ვინაიდან, დარგის მომხმარებელთა მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ ტურისტები.

დაბალი რენტაბელობის გამო კომპანია იძულებული გახდა 2022 წელს დაეხურა ერთ-ერთი ავთლექტ ფილიალი. თუმცა კომპანია არ განიხილავს უახლოეს მომავალში კიდევ რომელიმე მაღაზიის დახურვას. ასევე არ განიხილება ბიზნესის გაფართოება და ახალი მაღაზიების გახსნა.

რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა კომპანიის ბიზნესზე

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომი წამოიწყო, რაც თავის მხრივ მსოფლიო ყურადღების ქვეშ მოექცა. ომის შეწყვეტის მიზნით ევროკავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ასევე სხვა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს რუსეთისათვის მკაცრი სანქციების დაწესება, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ შეზღუდვებს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს არა მარტო რუსეთში არსებულ კომპანიებზე, არამედ მათზეც, ვისაც ამ ქვეყნის კომპანიებთან საქმიანი ურთიერთობები გააჩნიათ.

ზემოაღნიშნულ შეზღუდვებს დღეის მდგომარეობით კომპანიის საქმიანობაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

5. წარმოებული კვლევები და მისი განვითარება

ბოლო ორი წელია კომპანიაში არ ჩატარებულა კვლევები და არც იგეგმება უახლოესი პერიოდის განმავლობაში.

6. რისკების მიმოხილვა

სავალუტო რისკი

იმის გამო, რომ ყოველწლიურად ახალი ბრენდები შემოდის ქვეყანაში, ასევე იხსნება ახალი სავაჭრო ცენტრები, შესაბამისად იზრდება კონკურენცია დარგში. ერთ-ერთი გამოწვევა ზოგადად ქვეყნის ეკონომიკაში არის ლარის კურსის მუდმივი გაუფასურება. საქონელი, რომლის შესყიდვაც ხდება დოლარში, ვალუტის კურსის ცვლილების გამო მუდმივად მზარდი თვითღირებულებით ხასიათდება. ამას შედეგად მოსდევს ფასების ზრდა, რაც გაყიდვებზე უარყოფითად მოქმედებს. თუმცა 2022 წლიდან ლარის კურსის გამყარებამ ხელი შეუწყო ფასების მეტნაკლებად დარეგულირებას და კომპანიას საშუალება მისცა შეემცირებინა ფასების ყოველწლიური ზრდის ტენდენცია.

2020 წლის საშუალო კურსი იყო 3,1097

2021 წლის საშუალო კურსი იყო 3,2209

2022 წლის საშუალო კურსი იყო 2,9156

2023 წლის პირველი რვა თვის საშუალო კურსია 2,6005

ლარის კურსი ასევე ზრდის საიჯარო ხარჯებს, რომელიც ერთ ერთი მნიშვნელოვანი ხარჯია კომპანიის ხარჯების სტრუქტურაში. საიჯარო კონტრაქტები ძირითადად დოლარშია დადებული.

ყველა ამ გამოწვევას კომპანია აქტიურად უმკლავდება და ყველაფერს აკეთებს იმისათვის რომ ბაზარზე მისი პროდუქციის პოპულარობა კიდევ უფრო გაიზარდოს, ხელმისაწვდომი იყოს მოსახლეობის საშუალო ფენისთვის და ჰყავდეს რაც შეიძლება მეტი კმაყოფილი მომხმარებელი.

ლიკვიდურობის რისკი

ისევე როგორც წინა წლებში, 2023 წელს კომპანიის მენეჯმენტი გეგმავს პროდუქციის ასორტიმენტის განახლებას და მომხმარებლებისათვის განახლებული კოლექციის შეთავაზებას. გამომდინარე იქიდან,

რომ კომპანიის ერთადერთი მომწოდებელი არის დედა კომპანია, შესაბამისად კომპანიას აქვს იმის შესაძლებლობა, რომ სარეალიზაციო პროდუქცია შეიძინოს შემდგომი გადახდის პირობებით.

პანდემიის გამოცხადებისთანავე კომპანიამ წარმატებით მოილაპარაკა კრედიტორ ბანკთან სესხის გრაფიკის მოდიფიცირებასთან და შესაბამისად გადასახდელების გადავადებასთან დაკავშირებით. ასევე, ბანკის სესხის გადახდის რისკები მინიმუმამდეა დაყვანილი, რადგანაც დედა კომპანია აცხადებს მზადყოფნას, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსურად დაეხმაროს შვილობილ კომპანიას. 2022 წლის მანძილზე, წინა წლებთან შედარებით კომპანიის შემოსავლები მცირედით გაიზარდა, რაც კომპანიის ლიკვიდურობის რისკს ამცირებს.

ცხრილში მოცემულია 2020-2022 წლის ფინანსური კოეფიციენტები

წლები	2022	2021	2020
აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი	1.38	1.21	0.74
მოკლევადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.90	0.64	0.72
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.52	0.33	0.14
მარაგის ბრუნვის კოეფიციენტი	3.21	3.26	1.80

7. ფინანსური მაჩვენებლები

2022 წელს გაყიდვები წინა წელთან შედარებით 3%-ით გაიზარდა, ხოლო დაგეგმილთან შედარებით 10%-ით შემცირდა. მარჯის კოეფიციენტი წინა წელთან შედარებით 5%-ით გაიზარდა და შეადგინა 45%. ამ ფაქტორებმა, მიუხედავად ფინანსური ხარჯების ზრდისა განაპირობა კომპანიის მოგებაზე გასვლა.

2022 წლის განმავლობაში კომპანიას ბიუჯეტში გადახდილი აქვს 5,323,868 ლარი.

კომპანია მაქსიმალურად იცავს ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას, მათ შორის შრომის კანონმდებლობას. დაცულია დასაქმებულთა უფლებები და მათ შეუძლიათ ისარგებლონ ყველა იმ შეღავათით და სარგებლით, რაც კანონმდებლობით ან/და კომპანიის შიდა პოლიტიკით არის დადგენილი. მათი შრომითი ხელშეკრულებები სრულად შესაბამისობაშია დასაქმებულის უფლებებთან. დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის სამართლებრივი დავა არ ყოფილა.

სალომე ისიანი

რეგიონალური მენეჯერი

